ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2941812

ნომერი: AR1454116

თარიღი : 04.11.2016

გაცემის თარიღი : 28.11.2016

გაცნობის თარიღი : 29.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩა N8. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კობალაძე პ/ნ 01009003790
- ვაჟა-ფშაველას მე-7კვ მე-7 კორპ. ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 04/11/2016 წლის №AR1454116 განცხადება ამავე სამსახურის 04/02/2016 წლის №2418263 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 14/01/2016 წლის №2385926 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქერჩის ქუჩა, №8-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.11.05.033.077) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო სამსახურის 04/02/2016 წლის №2418263 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
განმცხადებელის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული არ არის გარე ავტოსადგომის ფართობი - 669 კვ.მ. შესაბამისად, წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია შიდა ავტოსადგომის ფართობთან ერთად ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გარე ავტოსადგომის ფართობის დაფიქსირებაც და მათი საერთო ფართობი შეადგენს 722,4 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირებულია სამსახურის 14/01/2016 წლის №2385926 ბრძანებაში, რომლითაც შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და არა განმცხადებლის მიერ მითითებულ მშენებლობის ნებართვის გაცემის აქტში - 04/02/2016 წლის №2418263 ბრძანებაში. შეთანხმებული საპროექტო გეგმის შესაბამისად, სამსახურის 14/01/2016 წლის №2385926 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებულია ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 53.4. რაც შეეხება, გარე ავტოსადგომის ფართობს, ის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ ფიქსირდება და შესაბამისად, არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში - 14/01/2016 წლის №2385926 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით